ოქმი:**ო03. 3726027001**

თარიღი:**27/01/2026**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 26 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, ე. წუწუნავა, ქ. ხომერიკი, ვლ. ხავთასი, გ. გაბისინანი, ი. ჩიკაშუა, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გაცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, განაცხადა, რომ აღნიშნულ დადგენილებას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, წლის არაუგვიანეს თებერვლის თვისა იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიას დადგენილებაში ცვლილებების შეტანა არ აქვს დაგეგმილი. პროექტი წარმოდგენილია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტის პროექტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი